საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №93/17

-- -- 2017 წლის 01 ივნისის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №93/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ -- -- 2017 წლის 04 აპრილს გამართა მოსამზადებელი სხდომა, სადაც აშკარა იყო მისი ტენდენციურობა მოსარჩელის წარმომადგენლებისადმი, როდესაც, მისი როგორც მოპასუხის უარის მიუხედავად, მოსარჩელის შუამდგომლობა ბინის გაყოფის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნაზე მოსამართლემ დააკმაყოფილა.

საჩივრის ავტორის თქმით, დაურეკეს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან და მოსთხოვეს ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება, რისი შესაძლებლობას არ აქვს. ამასთან, აღნიშნავს, რომ მოსამართლეს უფლება არ აქვს გამოიყენოს მისი სახსრები მოსარჩელის მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 05 მაისს -- --, -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის - -- -- მიმართ, დავის საგანი - ქ. --, -- ქუჩა №36-ში მდებარე უძრავ ქონებაზე არსებული წილების გამიჯვნა და გამოსახლება.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 04 აპრილის განჩინების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლომ იმის გასარკვევად, შესაძლებელია თუ არა უძრავი ნივთის დაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, დანიშნა სადავო უძრავ ქონებაზე საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა (განჩინებაში არ ჩანს, რომ შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნაზე დაყენებული იყოს მოსარჩელის მიერ) და ექსპერტიზის ხარჯების გადახდა მხარეებს დააკისრა თანაბარწილად.

2017 წლის 04 აპრილის სასამართლო მოსამზადებელი სხდომის ვიდეო ჩანაწერის თანახმად, ექსპერტიზის დანიშვნა იშუამდგომლა მოსარჩელის წარმომადგენელმა, რაც მოსამართლე -- -- დააკმაყოფილა.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2017 წლის 14 ივნისის წერილით სასამართლოს ეცნობა, რომ მოპასუხე მხარის მიერ (-- --) საექსპერტო მომსახურების მიერ საექსპერტო კვლევისთვის განკუთვნილ ვადაში არ მოხდა საექსპერტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და დავალება დარჩა შეუსრულებელი.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 30 ივნისის განჩინებით საქმეზე განახლდა საქმისწარმოება.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2018 წლის 16 თებერვლის განჩინებით, შეჩერდა საქმისწარმოება -- საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განხილვაში არსებულ საქმეზე (მოსარჩელე - -- --, მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

განსახილველ შემთხვევებში, იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება“. აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებებიც ნაკლებად იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ კანონი არ აკონკრეტებს თუ რა იგულისხმება მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებაში, შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს არის თუ არა საუბარი სამოსამართლო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან დაუდევრობაზე, ან უგულისყურო შესრულებაზე, სისტემატიურად და არასაპატიო მიზეზით, რასაც იზიარებს საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და სადისციპლინო პრაქტიკა (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, მაკედონია და ა.შ.).

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთის მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1]

მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის Nდს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს. შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას, ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯს წარმოადგენს მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, თარჯიმნებს აუნაზღაურდებათ სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და მიეცემათ დღიური თანხა. ამასთან, კერძო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებები (დამოუკიდებელი ექსპერტები), სპეციალისტები, თარჯიმნები იღებენ გასამრჯელოს დადებული შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მათ უნდა მოახმარონ სასამართლოს დავალების შესრულებას, მასალები, რომლებიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულებისათვის და სხვა.

ამავე მუხლის მე-2[1] ნაწილის თანახმად, სასამართლოს დავალებით ფაქტების კონსტატაციის მომსახურება ანაზღაურდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი საფასურების შესაბამისად იმ პირის მიერ, რომლის შუამდგომლობითაც გამოიტანა სასამართლომ დავალება ადგილზე დათვალიერების შესახებ ფაქტების კონსტატაციის მიზნით, ხოლო სასამართლოს ინიციატივით განხორციელებული ფაქტების კონსტატაციის შემთხვევაში – მხარეების მიერ თანაბრად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის თანახმად, თუ დათვალიერება დაკავშირებულია ხარჯებთან, მხარემ, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე დათვალიერების შესახებ, წინასწარ უნდა შეიტანოს შესაბამისი თანხა. თუ ადგილზე დათვალიერება სასამართლოს ინიციატივით ხდება, ეს ხარჯები ორივე მხარემ უნდა დაფაროს.

საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, მათ შორის 2017 წლის 04 აპრილის მოსამზადებელი სხდომის ამსახველი ვიდეო ჩანაწერის მიხედვით, ექსპერტიზის დანიშვნაზე შუამდგომლობის ინიციატორი იყო მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი.

მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა მსგავსი (კანონის ანალოგია) ურთიერთობის მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 44-ე, 45-ე და 126-ე მუხლები, რომელიც განსაზღვრავს ადგილზე დათვალიერების ხარჯების ინიციატორი მხარისთვის დაკისრების წესს და ექსპერტიზის ხარჯების გადახდა დააკისრა ორივე მხარეს თანაბარწილად. მოცემულ შემთხვევაში, კანონის პირდაპირი დანაწესის არარსებობის პირობებში, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვერ გახდება დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი.

ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობასა და სადისციპლინო პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც

ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, რაც განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება და რაც დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისთვის ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს. აქვე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქმეზე საბოლოოდ ექსპერტიზა არ ჩატარებულა მხარეების მიერ საექსპერტო დაწესებულებასთან ხელშეკრულების დადგენილ დროში გაუფორმებლობის გამო, აგრეთვე განსახილველ საქმეზე საქმისწარმოება შეჩერდა -- -- ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე დაწყებულ საქმეზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ამდენად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, მოსამართლე -- -- მხრიდან არ იკვეთება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №93/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი